სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

26 / ივლისი / 2024 წ.

KARR0128516537924

№ **04/1091**

სსიპ სახელმწიფო
ქონების ეროვნული
სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის
სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 22 ივლისის №6/41331 მომართვა (რეგისტრირებული განცხადების ნომერი: 1097/21; თარიღი: 22.07.24), ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 144.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №26.01.48.269) განკარგვის შესახებ.

აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილების შესაბამისად დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საპროექტო საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ში (იხ. დანართი).

საკურორტო ზონა 2 (შზ-7) წარმოადგენს ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში კურორტისათვის დამახასიათებელ განაშენიანებას. დასაშვები სახეობებია: სასტუმრო, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი, დასასვენებელი სახლები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტები, კვების ობიექტები, გართობისათვის განკუთვნილი მომსახურებების ობიექტები, მცირე კომერციული-სავაჭრო მომსახურებების ობიექტები, ავტოსადგომი, დასაშვები სახეობებისათვის დამხმარე და დროებითი შენობა-ნაგებობები. განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები 1000 კვ.მ-დან მიწის ნაკვეთებისთვის: განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.3; განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-1.5; გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.5.

საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ში მდებარე 1000 კვ.მ. ფართობზე ნაკლები და 200 კვ.მ. ფართობზე მეტი მიწის ნაკვეთის განვითარება დასაშვებია საკურორტო ზონა 1 (შზ-6)-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

№26.01.48.269 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობიდან გამომდინარე (144.00 კვ.მ.) მისი სამშენებლოდ განვითარება დამოუკიდებლად ვერ განხორციელდება. მიწის ნაკვეთის განვითარება ზონით დადგენილი პარამეტრებით შესაძლებელი იქნება მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შემთხვევაში.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
ელექტრონულად